**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1892


**თავადი ესტატე დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის ძმის **დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკის თავადის ვახტანგ დავითის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისას**—სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ მცხეთის საკათედრო ტაძარში, ხუთშაბათს ამ თვის 27, დილის 11 საათზედ. (1—1—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მისაღები და განსამეორებელი ეგზამენები დანიშნულია სექტემბრის 16, 17 და 18, ხოლო სწავლა-კი 21 სექტემბერს დაიწყება.

**ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.**

დროებითს მაჰმადიანთა სახოლერო ფარდულში 25 აგვისტოს დილით იყო სამი ავადმყოფი. ამ დღეს მიიყვანეს 1 დედაკაცი—კიულპარი-ალლახ-ვერდი-ყიზი (მე-6 პოლიციის ნაწილიდგან); გარდაიცვალა 2 კაცი: ახმედ-მაშადი-ბაბა-ოღლი და რიზა-მაშადი-მირზა-ოღლი. 26 აგვისტოს დილით იყო 2 ავადმყოფი.

გორის მაზრის უფროსი იუწყება 24 და 25 აგვისტოს. ქ. გორში 15 აგვისტოდგან ავად აღარავინ გამხდარა და არც აღარავინ არის ხოლერით ავად. ბორჯომში გარდაიცვალა 1, ავადმყოფი აღარავინ არის; სოფ. მოხისში ავად გახდა 2, გარდ. 1; სოფ. დიდ-მეჯვრისხევში ავად გახდა 1; სოფ. ზერთში ავად გახდა 1; სოფ. ლიქანში 20-დგან 22 აგვისტომდე ავად გახდა 3.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება 24 აგვისტოს: 22 აგვისტოს სოფლებში ავად გახდა 40, გარდაიცვალა 17, მორჩა 18, დარჩა ავადმყოფი 117. ქალაქში ავად არავინ არის. 23 აგვისტოს სოფლებში ავად გახდა 18, მორჩა 34, გარდაიცვალა 16, დარჩა 85.

ტფილისი, 26 აგვისტო

რუსეთის გაზეთებმა ერთი მეტად სასიამოვნო ამბავი მოგვიტანეს და ჩვენც არ შეგვიძლიან ყურადღება არ მივაქციოთ. ეს ამბავი შეეხება სოფლის მასწავლებელთათვის პენსიის დანიშვნას. გაზეთებივე ამბობენ, რომ პროექტი უკვე შემუშავებულია და სახელმწიფო საბჭოში წარუდგენია საერო განათლების სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად. თუ ეს კანონმდებლობა იმდენად შემუშავებულია, რომ დიდი ჩხრეკა აღარ მოუნდება, მაშინ უეჭველია, წელსვე განიხილავს სახელმწიფო საბჭო და, მაშასადამე, წელსვე იქნება კანონისაგან აღიარებული, რომ სოფლის მასწავლებელიც სახელმწიფოს ემსახურება, როგორც სამხედრო და საერო წოდების მოხელე და მისი სამსახურიც სახელმწიფო სამსახურად უნდა ჩაითვალოს.

როგორც შარშანდელმა შიმშილმა ცხადად დაანახვა რუსეთს, რა დიდს სილატაკეშია ჩავარდნილი ხარჯის მძლეველი გლეხი, რა უმწეოა უბედურებაში, რა უნუგეშო მდგომარეობაშია მისი მეურნეობა, ისე წრევანდელმა ხოლერამ გამოაშკარავა, რა უგონოა და გაუნათლებელი იგივე გლეხი, რომელიც კეთილის მოსურნეს და სენისაგან მხსნელს თავში კეტს ურახუნებდა. ასეთი ნაკლი მიწის მომქმედისა წინადაც იცოდა მთავრობამ, მაგრამ შარშან და წელს მეტის-მეტის სიმკაცრით იჩინა თავი. ამისათვის მთავრობა დიდს საგონებელს მიეცა და ეხლა ორი დიდი საყურადღებო საგანი აქვს წინ წამოყენებული: მიწათმომქმედის ნივთიერი გაუმჯობესობა და მისი გონებრივად განვითარება.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით მარტო უკანასკნელს საგანს.

ხალხის განათლებისათვის საჭიროა, რასაკვირველია, მრავალის სკოლის დამართვა, სკოლას კიდევ ეჭირვება კარგი მასწავლებელი. სოფლის მასწავლებელი რუსეთშიაც და ჩვენშიაც დიდს გაჭირვებას იტანს, მეტის-მეტად მცირე სასყიდელი აქვს შრომის ჯილდოდ. ეს კიდევ არაფერი. იშრომებს საცოდავი სადმე მიყრუებულს სოფელში ოცს, ოც-და-ათს წელიწადს და სიბერის დროს, როცა შრომის თავი აღარა აქვს და სამსახურს თავს ანებებს, ულუკმა-პუროდ უნდა დარჩეს და მშიერი უნდა მოკვდეს. ეს ისეთი უსამართლობაა, რომ ძნელია ამ გვარი სხვა რამე კიდევ მონახოს კაცმა. სულ ითვლება რუსეთში 50,000 მასწავლებელი.

სოფლის მასწავლებელი ერთად-ერთი კაცია სოფელში, რომელმაც სიბნელეში ნათელი უნდა შეიტანოს, გლეხის ცრუმორწმუნეობა დასთრგუნოს, გონება-დახშულს კაცს თვალი აუხილოს და ასეთი მუშაკი იძულებულია სიყმაწვილეში სიღარიბე ითმინოს და სიბერის დროს შიმშილი. ეხლაც ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, რომ საფრანგეთი დაამარცხა გერმანიის სკოლის მასწავლებელმა, ე. ი. სოფლის სკოლის მასწავლებელმა. ასეთს სამსახურს უწევს დასავლეთს ევროპას სოფლის მასწავლებელი, ასეთივე სასარგებლოა მისი შრომა ჩვენშიაც და აი სწორედ ამისათვის სახელმწიფო ზნეობით ვალდებულია გააუმჯობესოს მისი ნივთიერი მდგომარეობა. ამ მხრივ თუ შევხედავთ ზემოდ მოხსენებულს კანონს, არ შეიძლება სიამოვნებით არ მივეგებნეთ, მისი მალე განხორციელება არ ვისურვოთ. ჩვენის აზრით, თუ პროექტი მარტო პენსიას შეეხება, ეს საკმარისი არ არის. ეხლავე საჭიროა, რომ დღევანდელი ნივთიერი მდგომარეობა გაუკეთესდეს, თორემ თუ კაცი ხრიოკზედ მიდგება და ერთიანად დაეცემა, მერე პენსიაც ველარ უშველის.

სოფლის მასწავლებელთან ერთად სოფელში ჰმუშაობს მღვდელი, რომელიც ნივთიერად გაცილებით წინა სდგას მასწავლებელზედ. რუსეთში ყოველს სამრევლოს საეკკლესიო მამული აქვს და ეს დიდ შეღავათს აძლევს მოძღვარს. ურიგო არ იქნება, სოფლის სკოლასაც მიეცეს ცოტაოდენი მამული. ზაფხულობით, როცა მასწავლებელი თავისუფალია, ადვილად შეიმუშავებს პატარა ნაჭერს მიწას და როგორც განათლებული კაცი, რიგიანადაც შეიმუშავებს. რასაკვირველია ამასაც საკეთილო გავლენა ექმნება გლეხის მეურნეობაზედ და უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს განათლებულ კაცს გაუნათლებელს გლეხს.

ამ გვარად შევსებული ახალი კანონი დიდს ცვლილებას მოახდენს სოფლის სკოლის მასწავლებლის ყოფა-მდგომარეობაში, და რაც მალე განხორციელდება, მით უფრო სასურველია.

ა. ფრონელი

## † ნეკროლოგი

25 აგვისტოს გარდაიცვალა ბორჯომში ჭლექისაგან ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, სტატსკი-სოვეტნიკი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ალიმოვი. განსვენებულმა სწავლა დაამთავრა მოსკოვში მ. ნ. კატკოვის ლიცეიში და ორის წლის შემდეგ სამსახური დაიწყო მთავარ-მმართებლის კანცელარიაში (მაშინ დეპარტამენტი ერქვა). თითქმის ოცი წელიწადი დაჰყო კანცელარიაში და ერთს საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა. განსვენებულს მრავალი სხვა-და-სხვა მინდობილება შეუსრულებია, მონაწი-

## ფელეტონი

მიმავალი ჭირი:—ჩვენი მოვალეობა.—ღირსეული წინამძღოლი.

ჩვენს ქვეყანაში ხოლერა თითქმის ერთიან გაჩნდა. ვისაც-კი მოასწრო, გამოასალმა წუთი-სოფელს და ამით დაგვწყვიტა გული. მაგრამ დიდი დანაშაული იქმნება ჩვენის მხრივ, რომ დაუშვათ ძირს იარაღი და მივეცეთ ან უიმედო მწუხარებას, ან განცხრომას. თვით ეს ამოდენა შეწირული მსხვერპლი ჰღაღადებს, რომ დიდსა და ძალიან დიდს სამზადისს უნდა შევუდგეთ მერმისისთვის, როდესაც ხოლერას შეუძლიან კვლავ იჩინოს თავი. ჩვენ უნდა ვინაღვლოთ ჩვენის ჯანმრთელობისათვის იმდენად მაინც, რომ სიბინძურემ არ გაგვითხაროს ბინძური სამარე, რომელსაც ვერ მიეკარება შიშით ვერც ნათესავი, ვერც მეგობარი, ვერც ნაცნობი და ვერც უცნობი, მეტადრე ეხლანდელს გალაჩრებულს დროს. მერე ამ ხოლერისთანა სამარცხვინო სენისაგან ჩემი მოსისხლე მტერიც-კი დაიფაროს!..

გავლილმა ჭირმა დაგვანახვა, რომ საცა-კი ხალხი სასმელადა ჰხმარობდა მდინარის ან ხევის წყალს, იქ ხოლერამ უფრო მომეტებული სამკელი მოიმკო და დასტკბა კაცთა-ნათესავის სისხლით. გარდა ამისა, ზოგან წყაროს წყალსა ჰხმარობდნენ, მაგრამ რა-კი ეს წყარო გაივლიდა რამდენსამე მანძილს, საშიში შეიქმნებოდა ხოლმე სასმელად, იმიტომ რომ ან უსუფთაო ადგილებზედ ჰქონდა გზა გასავლელი, ან შიგ პირუტყვი წვებოდა ამ სიცხეში გასაგრილებლად. რა წამსაც, შეგნებულის ხალხის ჩვენებით, სოფელი გაასუფთავებდა ამ სავალ გზას და აღარც პირუტყვს შეუშვებდა წყალში, ხოლერაც ნელდებოდა, ველარ იჩენდა თავის მკაცრს ძალას.

აქედგან და მრავალ სხვა მაგალითიდგან დღეს ჩვენთვის ცხადი უნდა შეიქმნეს აუარებელი ძალა წყაროსა ხოლერობის დროს. მაგრამ განა მარტო ხოლერამ უნდა გვასწავლოს, რომ კამკამა წყარო ათჯერ უკეთესია, ვიდრე მდინარის წყალი! ამას რაღა ჩიჩინი უნდა, მეტადრე ზაფხულში, გახურებულს გულზედ! ეხლა საჩიჩინებელი ჩვენთვის მხოლოდ ის არის, რომ ღონისძიება იქმნას ხმარებული და ყოველმა ჩვენმა სოფელმა გამოიყვანოს წყაროს წყალი, საიდგანაც უნდა მოუხდეს მისი წამოყვანა და რაც უნდა დაუჯდეს ეს საღმრთო და საშვილი-შვილო საქმე. კაცის სიცოცხლეზედ უძვირფასესი არა არის-რა და ამიტომ სოფელმა არა უნდა დაზოგოს-რა, ოღონდ-კი წყარო იქონიოს სახმარებლად, რომ სენმა ველარ დასცეს წრევანდელივით შიშის ზარი და ველარ გაანადგუროს ხალხი.

**

მეორე საგანი არა ნაკლების ყურადღებისა არის სისუფთავე ყოვლის საცხოვრებლის სახლისა, ქუჩისა, მთელის სოფლებისა და ქალაქებისა. მწარე საცდიელი გამოსცადეს ამ შავ წელს ქალაქებშიაცა და სოფლებშიაც, რომ ვერ დააფასონ ძალა სისუფთავისა. სისუფთავე მარტო თვალისთვის როდია საამური, იგი უპირველესი საშუალებაა ჯანმრთელობისა. წრევანდელმა ხოლერობამ უნდა ბოლო მოუღოს იმ ჩვეულებას, რომელსაც ასე ერთავად მისდევენ, მეტადრე გორის მაზრაში, სადაც თითქმის ყოველ ეზოში რამდენიმე ურემი საქონლის „პატივი“ უდგათ მოზვინებული წლითი-წლობამდე. უწმინდურობა სადგურებისა თუ ეზოსი მარტო ხოლერას-კი არ უწყობს ხელს, არამედ იგი თავი და თავი მიზეზია ათას გვარის გადამდების ჭირისა. ხოლერამ იმიტომ ჩააფიქრა ხალხი, რომ ეს ჭირი ერთიან ერჩის დიდსა და პატარას, ღარიბსა და მდიდარს. იგი არ დაგიდევს არც წოდებას, არც წლოვანებას. იმისთვის ახალგაზდა თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი სულ ერთია. ყველას ესტუმრება ხალისიანად, თუ-კი შეატყო თავისი საკბილო სამზადისი, ე. ი. უწმინდურობა და სიბინძურე. მაგრამ თითქმის ყოველ სხვა ჭირსაც ნიადაგი უსუფთაობაში უძევს. მხოლოდ ჩვენ მაგრე რიგად ყურს არ ვუგდებთ, რადგან ხუნაგი, ყივანახველა, ყვავილი, სახადი, სიჭლექე და სხვანი მეტად გარჩევით ირჯებიან და არც ისეთი მალი და მსწრაფია თითოეული მათგანი, როგორც ხოლერა. თორემ ზიანი ყოველ ამ ჭირს უფრო მომეტებული მოაქვს ჩვენთვის, ვიდრე ხოლერას.

ქალაქები, უეჭველია, როგორც

ლეობა მიუღია საგუბერნიო საქმეების რევიზიაში და სხვანი. მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს „სოფლის დებულების“ შედგენაში, რომელიც ნ. მ. კუჩაევმა დაჰბეჭდა ქ. ტფილისს. ა. ა. ალიმოვი შარშან მთავარ-მმართებელს, გენერალ-ადიუტანტს შერემეტიევს პეტერბურგში გაჰყვა და იქიდგან დაბრუნების შემდეგ მალე ვიცე-გუბერნატორობაც მისცეს.

განსვენებული ახალს თანამდებობასაც მუყაითად ეკიდებოდა, დღე და ღამესა სტეხდა, ისე ბევრს ჰმუშაობდა და სწორედ ასეთმა მეტისმეტმა მუშაობამ მოუღო ბოლო იმის სიცოცხლეს. დაღალულ-დაქანცული მუშაობისაგან წელს განსვენებულმა ზაფხული სოფ. წავკისში გაატარა, აქ ავადმყოფობამ უმატა და ბორჯომს წავიდა, მაგრამ ვერც ბორჯომის ჰავამ არგო და წუთისოფელს უდროოდ გამოასალმა.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის დროებით მუსულმანთა ფარდულში 24 აგვისტოს მიიყვანეს 3 კაცი: ახმედ-მამადი-ბაბა-ოღლი, [illegible]რიზა-მამადი-მირზა-[illegible]ოღლი ორივე (1 ნაწ.) ერთისავე ფურნიდგან, და მანაფ-აზირა-ყული-ოღლი.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 16, 17, 18 და 19 აგვისტოს ავად გახდა 5, გარ. 4, ავად არის 1; სოფელ ხოსპში მორჩა 3, ავად არავინ არის; სოფ. ქუმურდოში ავად გახდა 16, გარდ. 9, ავად არის 9; სოფ. ორჯაში ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 3, ავად არავინ არის; სოფ. ჩანდურაში ავად გახდა 13, მორჩა 10, გარდ. 4, ავად არის 16; სოფ. ქარაქიკამში ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 1, ავად არავინ არის; სოფ. ხერთვისში ავად არის 3, მორჩა 3, ავად არავინ არ არის; სოფ. ქანდურაში ავად გახდა 1, მორჩა 2, გარდ. 3, ავად არის 1; სოფ. ვარიანში ავად გახდა 22, გარდ. 14, მორჩა 2, ავად არის 19; სოფ. ვარევანში ავად გახდა 8, გარდ. 2, ავად არის 14. სოფ. ბალახანში ავად არის 1, გარდ. 1, ავად არავინ არის; სოფ. გომში ავად გახდა 5, გარდ. 4, მორჩა 3, ავად არის 3; სოფ. ქოთელიაში გარ. 1, ავად არის 1; სოფ. ჯიგრაშენში ავად გახდა 22, მორჩა 13, გარდ. 11, ავად არის 1; სოფ. ხორენიაში ავად გახდა 9, გარდ. 6, მორჩა 5, ავად არავინ არის; სოფ. კულიკამში ავად გახდა 4, ავად არის 6; სოფ. ბარალეთში ავად გახდა 3, მორჩა 5, გარდ. 2, ავად არის 2; სოფ. ჩუნჩხელაში ავად გახდა 1, ავად არის 1, სოფ. ქაურმა-ქეირში ავად გახდა 4, გარდ. 2, მორჩა 2, ავად არავინ არ არის; სოფ. სანდოში ავად გახდა 6, გარდ. 1, მორჩა 3, ავად არის 2; სოფ. ჰირკანში ავად არის 1, გარდ. 1, ავად არის 1; სოფ. ბაგაშენში ავად გახდა 1, გარდ. 1, ავად არავინ არის; სოფ. ორჯალაში ავად გახდა 8, გარდ. 3, ავად არის 5; სოფ. მამზარაში ავად არის 11, გარდ. 6, ავად არის 5; სოფ. სულდაში ავად გახდა 6, მორჩა 1, გარდ. 2, ავად არის 3; ალასტანში ავად გახდა 7, მორჩა 2, გარდ. 3, ავად არის 2.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყე: სოფ. საგარეჯოში ავად გახდა 1.

ახალციხის მაზრის უმფროსი იუწყება: 15—21 აგვისტოს სოფელ სუფლისში ავად გახდა 7, მორჩა 9, გარდ. 1, ავად არის 2; ოსპალოში გარდ. 1, ავად არავინ არის.

ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 22 აგვისტოს ბაქოში მორჩა 1, ავად არავინ გამხდარა, არც გარდაცვლილა, ავად არის 4; სამხედრო სამკურნალოში ავად არის 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 45, გარდ. 38, ავად არის 9.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 22 აგვისტოს შურაში მორჩა 1, ავად არის 6, მთელს ოლქში ავად გახდა 82, გარდ. 42, მორჩა 121, ავად არის 847.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 22 აგვისტოს განჯაში ავად არავინ გამხდარა, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 21, მორჩა 13, გარდ. 10, ავად არის 73.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: ყარსში ავად გახდა 20, მორჩა 16, გარდ. 7, ავად არის 104.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: ქუთაისში არავინ გამხდარა ავად და არც გარდაცვლილა, აეად არის 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 3, მორჩა 13, ავად არის 34.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 20 აგვისტოს ერევანში ავად გახდა 6, გარდ. 6, მორჩა 7, ავად არის 69; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 64, გარდ. 15, მორჩა 18, ავად არის 644.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: მთელს ოლქში ავად გახდა 9, მორჩა 1, გარდ. 8, ავად არის 71.

*** ჩვენ მივიღეთ ბაქოელ ქართველებისაგან შირაქში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოწირული ხუთი თუმანი.

*** შაბათს, შუადღის 12 საათზედ, ვანქის ტაძარში გარდახდილი იქნება პანაშვიდი ამ დღეებში გარდაცვლილის სომეხთა პოეტის რაფაელ პატკანიანის სულის მოსახსენებლად.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ დაარსებული უფასო სასადილო 10 სექტემბერს დაიკეტება და არა 1 სექტემბერს, როგორც ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა გამოცხადებული.

*** ბორჩალოს მაზრის სოფ. წავკას ხოლერა ძლიერ მძვინვარებს. ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა გაჰგზავნა წალკაში ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი, რომელიც 25 აგვისტოს საღამოთი გაემგზავრა დანიშნულს ადგილას.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულს, ბ-ნ ს. მედვედევს განზრახვა აქვს შემოდგომაზედ დაათვალიეროს ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ადგილები.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოში 9 სექტემბერს დანიშნულია გასარჩევად საქმე ოლგა დუდკინის მკვლელობისა. ეს მკვლელობა მოხდა 1891 წელს ქ. ტფილისში. ბრალსა სდებენ ქ. შუშას მცხოვრებელს ჯავათ ყაზაროვს.

*** ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭო აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი ეგზამენები ამ სასწავლებელში, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალადის ნება-რთვით, დაიწყება 30 სექტემბერს, ხოლო სწავლა-კი—2 ოქტომბრიდგან.

*** 10 აგვისტომდე აი რამდენი სული გარდაიცვალა ხოლერისაგან: კავკასიაში — 41,579; დონის ოლქში—12,382; სარატოვის გუბერნიაში—7,971; კასპიის იქითა მხარეს—7,763; ასტრახანის გუბერნიაში — 7,345; სამარას გუბერნიაში—6,348; ციმბირში—6,242; სიმბირსკის გუბერნიაში— 2,638; ვორონეჟის გუბერნიაში — 2,434; ვიატკისაში — 1,937; ორენბურგის გუბერნიაში— 1,746; ტამბოვის გუბერნიაში--1,196; ნიჟეგოროდის გუბერნიაში—1,128; ურალის ოლქში—1,191; ყაზანის გუბერნიაში—1,162; დანარჩენ გუბერნიებში—3,055; ხარკოვის გუბერნიაში—1,524. სულ მთელს იმპერიაში გარდაცვლილა ხოლერით 107,647 კაცი და ქალი.

*** დ. ონი: ხოლერამ არც ჩვენ დაგვაგდო უნუგეშოდ. თუმცა ჯერ არ არის, მაგრამ გარშემო-კი სულ შემოგვერტყა, ასე რომ იმედი უნდა გვქონდეს, ჩქარა გვეწვევა დაუპატიჟებელი სტუმარი. აქაური მაზრის უფროსი ძალიან სცდილობს, რომ მოსპოს ხოლერა სოფლებში, სადაც თითო-ოროლა ხდება ავად, თავად დადის სოფლებში და ყველას ნუგეშს აძლევს, რომლებიც შიშისაგან გახიზნულნი არიან მთებში. მიჩუმებული ონის საზოგადოება გაამხიარულეს ტფილისიდგან ახლად ჩამოსულმა არტისტებმა. 18 ამ თთვეს წარმოადგინეს „ადვოკატი მელაძე“ და „პრიკაშჩიკი შკაფში“. ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ წარმოდგენამ ვერაფრად ჩაიარა.

*** ქ[illegible] (ქვემო აჭარა): ქვედა და ზედა აჭარის ქართველ მაჰმადიანებში აცრის ცოდნა გავცელებულა. აცრა სცოდნია ქართველს მაჰმადიანს აბდულ ეფენდი მიქელაძეს, „ივერიის“ აჭარელ ამბების მომწერს. ამ კაცს რამდენსაიმე წლის წინად შეუსწავლია აცრა და ამის მეოხებით ძლიერ ბევრი მაჰმადიანი შესჩვევია აცრას.

*** იქიდამკე: წელს აქეთ სიმინდებს ვერაფერი დარი დაუდგა. გვალვამ თითქმის წაახდინა და ისეც ღარიბი აჭარლები ზარალში ჩააგდო.

*** ხ[illegible]ლა. (ზედა აჭარა): ხოლერისა აქეთ არაფერი ამბავია. ბათუმს რომ უწიოს, აქ მაინც ვერ უწევს. აჭარაში ასეთი საშიშარი სენი ვერ შემოიტანს თავს, აქაური მთიანი ტყეები სასტიკად იფარავს ყველაფერს. აქეთ სხვა რამ სენიც იშვიათად ჩნდება.

*** აჭარაში ტფილისის ფოსტა მეათე დღეს მიუწევს ხოლმე.

*** როგორც გაზეთს „მშაკსა“ სწერენ, ამ წელს ხოლერის დროს თავრიზში გარდაცვლილა 3,000 კაცი. ქალაქ ხალისს ამ დრომდე ყოველ დღე ორთა შუა რიცხვით 200 კაცი იხოცებოდა.

*** ჟურნალ „Рус. Старина“-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის მკურნალის ბ-ნ ცვიბაკისა. ამ წერილიდგანა სჩანს, რომ ლაბორატორიაში გამოუცდიათ, თუ რამდენად მრავლდება ხოლერის ბაქტერიები მტკვრისა და ავჭალის წყალსა, ღვინოსა და ლუდში. აღმოჩენილა, რომ მტკვრის წყალში საგანგებოდ ჩაყრილი ხოლერის ბაქტერიები მრავლდება, სამს კვირასა სცოცხლობს და შემდეგ იხოცება. ავჭალის წყალში-კი ხოლერის ბაქტერიები ერთს კვირასაც ვერა სძლებს და არცა მრავლდება. ღვინოში ბაქტერიები ერთს კვირაზედ ადრე იხოცება. ხოლო ლუდში-კი ეს ბაქტერიები ძლიერ ადვილადა მრავლდება.

*** 23 აგვისტოს მოჰკლეს ცოფიანი ძაღლი. ძაღლმა დაჰკბინა მარიამ ჩურიქოვისა, მებულკის შვილი სედრაკ გრიგორიანი და ანისია მალოვისა, რომელნიც საექიმოდ გაიგზავნენ ტფილისის საბაქტიერიელოგი სადგურში.

*** 25 ან თთვისას ნატალია არზუმანოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ფერისცვალების ქუჩაზედ სახლი გამიტეხეს და 32 მან. 30 კაპ. ნივთეული მომპარესო.

*** ამავე დღეს გოჩა-ჯიხაიშის მცხოვრებელმა მალაქია ცაგარეიშვილე ბაღის ვაზაში ფარდულის გატეხა უნდოდა, მაგრამ მალე შეუტყვეს და შეიპყრეს.

## გასაფრთხილებელნი ღონისძიებანი სასულიერო სასწავლებლებში სახმარებლად გადამდებ სენ ხოლერის წინააღმდეგ *).

რადგანაც შესაძლებელია, გადამდები სენი ხოლერა გავრცელდეს იმ ქალაქებშიაც, რომლებიც შორსა მდებარეობენ სენ-მოდებულ ადგილე-

*) ეს წერილი შეუდგენია ს.-პეტერბურგის სასულიერო სასწავლებლების ექიმს, დეისტ. სტატ. სოვეტ. პახომოვს და დაბეჭდილია ჟურ. „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში“.

იქმნება, შეეცდებიან, რომ დაიცვან სისუფთავე მიდამოსი, ქუჩებისა, ეზოებისა და თვით სახლებისა, რადგან ქალაქებს შეძლება ხელს უწყობთ და ყოველ მათგანში მოიპოვება მცოდნე და საპატიო კაცი, რომელიც იკისრებს უსასყიდლოდ თვალ-ყური ადევნოს ქალაქის გასუფთავების საქმეს. სიტყვა სოფელია, უპატრონო, უმწეო, უვიცი. სოფელს აკლია გულშემატკივარი მცოდნე კაცი, განვითარებული ადამიანი, რომელმაც ჩააგონოს ხალხს ავი და კარგი. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ასეთი კაცები დაასახელოს ყველამ, ვისაც შეუძლიან, იმიტომ რომ ამ კაცებმა უნდა გაუწიონ პატრონობა სოფელს და იხსნან ხალხი ყოველ მხრივ მომდგარ უბედურებისაგან.

მაგრამ რომ უფრო იმედიანად იქმნას ქვეყანა უშიშარ-ყოფილ, საჭიროა ხსენებულნი ღონისძიებანი დაგვირგვინდნენ მკურნალთა სათანადო რიცხვით. ყოველ ათ სოფელს უნდა ჰყავდეს ერთი საკუთარი ექიმი და ორი-სამი ფერშალი მაინც. მაშინ აღარც ასეთი შიში გვექნება ჭირიანობისა და აღარც ამოდენა ხალხს გავწირავთ, როგორც წელს დაგვემართა.

**

არც წყაროს წყალის გაყვანა, არც სისუფთავის დაცვა და არც ექიმების მოწვევა არ შეადგენს ჩვენის სოფლისთვის მიუწდომელს და შეუსრულებელს საქმეს, თუ-კი გამოჩნდებიან ღვთისნიერი კაცები და პატრონობას გაუწევენ ქვეყანას. საცა სოფელს გაუჭირდება ფული, იქ თავისს ჯანით გაიტანს, ხარ-კამბეჩით, ურმით, ჭირნახულით—სოფელი ღონიერია, ოღონდ-კი ჩააგონეთ სარგებლობა საქმისა. გლეხ-კაცი უფრო ნათესავ-მოყვარეა, უფრო გულადი და პურადი, უფრო იცის ყადრი თავისთანა მუშა კაცისა. თუ-კი დაანახვებთ, რომ მისის ცოლის, შვილისა თუ ძმის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მოიპოვება შედარებით მცირედის ხარჯით, იგი არ დაჰზოგავს ამ ხარჯს, ამიტომ რომ კარგად იცის, რამოდენა ზარალი მოსდევს უდროოდ დაკარგვას ცოლისას, შვილისას თუ ძმისას, რამოდენა შემოსავალი აკლდება ოჯახს მათის სიკვდილით და ან თვით მიცვალებულის გაძღოლა რა ხარჯსა თხოულობს მისგან. ერთის სიტყვით, კაცთ-მოყვარეობისა და თავმოყვარეობის გარდა, აქა მუშაობს პირდაპირი ანგარიში ზარალისა თუ მოგებისა, ოღონდ-კი შეიძელით და გლეხ-კაცს შეასმინეთ, რომ აქ ანგარიშს უჭირავს ადგილი. ვინ უნდა უპატრონოს?

იქნება თქვენა სთქვათ, რომ ეგ ადმინისტრაციის საქმეაო, იმან უნდა უპატრონოს ხალხსაო. ძლიერ შემცდარი იქმნებით, ადმინისტრაციას იმოდენა საქმე აქვს ნაკისრი, რომ მის გაძღოლასაც ძალიან დიდი უნარი უნდა. რასაკვირველია, შეიძლება ადმინისტრაციაშიც აღმოჩნდნენ იმისთანა მოხელენი, რომელნიც, გარდა თავიანთის პირდაპირის მოვალეობისა, დაიჭერენ თვალ-ყურს ხალხის ჯანმრთელობასა და შინაურ ყოფა-ცხოვრებაზედაც. ამისთვის ისინი დიდის მადლობის ღირსნი იქმნებიან, მაგრამ რადგან ეს საქმე მათს პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს, იმათ ამ მხრივ ვერც მკვიდრის და სამუდამო სამსახურის გაწევას მოვთხოვთ სოფელს მიმართ.

ჩვენის აზრით, ეს რთული და მადლიანი საქმე უნდა მთლიანად იკისრონ თავად-აზნაურთა მარშლებმა, რომელთაც ადვილად შეუძლიან იყოლიონ ყოველ სოფელში მართებული მომხრე ან თავადი, ან აზნაური, ან მასწავლებელი, ან თვით სოფლის მოხელე. მარშალმა უნდა იცოდეს ყოველი ნაკლი და ძალა ყოვლის სოფლისა თავის მაზრაში, შიესწავლოს შეძლება ყოველის ცალკე თემისა, ჟამითი-ჟამად მოახლინოს კრება თავისს მომხრეთა, მიიწვიოს მცოდნე კაცები და საერთო დახმარებით გაუძლვეს ამ სასიქადულო საქმეს. ასეთი მარშალი სრულს თანაგრძნობას მოიპოვებს ადმინისტრაციის თვალშიაც, რომელიც თავის მხრივ უეჭველია დიდს მხარს მისცემს, და თანაც დაუვიწყარს სამსახურს გაუწევს სოფელს, რომელიც არ მოაკლებს მას ადამიანურს პატივისცემასა და სიყვარულს, როგორც თავისს პატრონსა და მზრუნველს. მაშინ იგი იქმნება მართალი და ღირსეული წინამძღოლი არა მარტო ღირსეულ თავად-აზნაურთა, არამედ მთელის ხალხისა, რომელიც სრული ღირსია პატიოსნურის ყურადღებისა.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდგან, და აუცილებლად საჭიროა ეხლავე იქმნას ხმარებული საშუალებანი მთელის იმპერიის სასულიერო სასწავლებელთა სადგომების გასასუფთავებელ-განსაკარგებლად, ამიტომ ამ სასწავლებელთა მმართველობათ უნდა მიეწეროთ, რომ დაუყოვნებლივ მიჰყონ ხელი:

1) ფეხის-ადგილებისა, ჯირგინებისა და საზოგადოდ ყველა იმ ალაგის გაწმენდა-გასუფთავებას, სადაც ნაგავი და უწმინდურება იყრის თავს;

2) ყოველ დღე თითოჯერ ამ ალაგებს სადეზინფექციო წამალი ასხურონ;

3) ფიცრის დასაჯდომი ადგილები ჴ ფეხის-ადგილების იატაკი კარბოლნარევის საპნით გაჰრეცხონ ხოლმე;

4) გასწმინდონ და სადეზინფექციო წამლები ასხურონ მოსამსახურეთა სადგომებს, რომლებიც მეტად უწმინდურად ინახება, მეტადრე ის სადგომები, სადაც უცოლშვილონი სცხოვრობენ. ეს უკანასკნელი ღონისძიება უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ უმეტესს შემთხვევაში პირველად ავად ხდებიან და სნეულდებიან უბრალო მოსამსახურენი და შემდეგ-კი იმათგან სხვებსაც იმავე შენობაში მცხოვრებთ, ედებათ და სენი ვრცელდება. ამიტომ საჭიროა, რომ მოსამსახურეთა სადგომები დღეში ერთხელ მაინც დაიგვ-დაიწმინდოს სველის ტილოებით.

5) ის მოსწავლენი, რომელნიც საეჭვო და სენ-მოდებულ ადგილებიდგან არიან მოსულნი, სხვებს არ მიაკარონ, ცალკე ამყოფონ და იმათს ტანთსაცმელსა და თეთრეულსაც სადეზინფექციო წამალი ასხურონ.

ს.-პეტერბურგის სასულიერო სასწავლებლებში აქვთ შემდეგი საშუალებანი, რომელიც სენს გადამდებს ძალას უკარგავს და რომლის ხმარებაც შეიძლება დანარჩენს სასწავლებლებსაც ვურჩიოთ: 1) კარბოლ-ნარევი საპნის წყალი, რომელიც ამ გვარად უნდა მომზადდეს: ერთ ვედრა ცხელს წყალში ჩაავდეთ $1^1/_2$ გირვანქა მწვანე საპონი და შემდეგ ნელნელა თან ურიეთ და თან ასხით 1 გირვანქა დაუწმენდავი $100^0/_0$-იანი კარბოლის სიმჟავე. 2) წყალში გახსნილი ხლორის კირი $1^0/_0$იანი სუსტისთვის—30 მისხალი ერთს ვედრა წყალზედ და $4^0/_0$-იანი მაგარისათვის—$1^1/_4$ გირვანქა ერთს ვედრა წყალზედ. სუსტი იხმარება თეთრეულის სადეზინფექციოდ, ხოლო მაგარი ფეხის-ადგილებისა, სანაგვეებისა და ჯირგინებისათვის. 3) წყალში გახსნილი გოგირდ-კარბოლი: პირველში ერთად უნდა აირიოს სამი ნაწილი დაუწმენდავ $50^0/_0$-იან კარბოლის სიმჟავისა და ერთი ნაწილი (წონის შესაფერად) დაუწმენდავ გოგირდის სიმჟავისა. ეს ნარევი 2—3 დღეს ისე უნდა იდგეს. შემდეგ ამ ნარევიდგან უნდა მომზადდეს $6^0/_0$-იანი გოგირდ-კარბოლის წყალი, ესე იგი $1^3/_4$ გირვანქა ნარევისა ჩაჰყაროთ ერთს ვედრა წყალში; ეს წყალი ძალიან კარგია განავალისა, სანაგვეებისა და ჯირგინების სადეზინფექციოდ. 4) წყალში გახსნილი სულემა: 1 ნაწ. 1000 ნაწილ წყალზედ ($^1/_{10}{}^0/_0$-იანი); ერთს ვედრა ცხელს წყალში უნდა ჩაიყაროს 30 მისხალი საჭმლის მარილი და შემდეგ 3 მისხალი სულემა დაემატოს. ეს წამალი დიდად მავნებელია, საწამლავია და ამიტომ არ ივარგებს ლითონისაგან გაკეთებულ ნივთების სადეზინფექციოდ; ამ წამალს უმთავრესად ხოლერიანთა განავალისა და იმ საბანაოების სადეზინფექციოდა ჰხმარობენ, რომელშიაც ავადმყოფებს უბანავნიათ. 5) კირის რძე: ერთ გვარს კირს (кипелка) ჩასაქრობად თითქმის იმდენივე წყალი უნდა დაასხათ, რამდენიც თითონ არის, და ახალ-ჩამქრალი კირი 6 გირვანქა იხმაროთ ერთს ვედრა წყალზედ. ეს ნარევი იხმარება მოსამსახურეთა სადგომის კედლების სარეცხად, თუ იმ სადგომებში ხოლერით ავადმყოფი იყო, იატაკების და სხ. სადეზინფექციოდ და აგრეთვე იმიტომ-რომ იაფი საშუალებაა ფეხის-ადგილებისა, სანაგვეებისა და ჯირგინების სადეზინფექციოდ—თითოს თითო ვედრა სჭირდება.

რაც შეეხება საჰიგიენო და სადიეტო საშუალებასა და წესებს, თუ იმ ქალაქებში, ან იმ ქალაქს ახლო სადმე სენი მძინვარებს, სადაც სასულიერო სასწავლებელი იმყოფება, ამისათვის საჭიროა:

1) სულ არ იხმარონ სასმელად აუდუღარი წყალი, ცივი არა დალიონ-რა საჭმელს შემდეგ, არა სჭამონ „მაროჟნა“ და არა სვან ცივი კვასი, შუშხუნა წყლები, ლიმონისა და სხ.

2) არ უნდა სჭამონ ხილი, საზამთრო, ნესვი, კიტრი და საზოგადოდ ყოველივე ის, რაც უმად, მოუხარშავად იჭმევა.

3) თავი შეიკავონ გადარჩხებულ ჭამისაგან, ბევრი არ დალიონ, „კონსერვად“ მომზადებულს არას დაეკარნენ, რადგან ეს საჭმელები ჩვეულებრივ დიდხანს აწყვია მაღაზიებში, ბუზებისაგან ფუჭდება და ლპება. უნდა აიკრძალოს ხმარება აგრეთვე ცივის საჭმლისა, მარილიანის თევზისა, სოკოებისა, ყველისა, ცხელისა და უქცხვარ პურისა.

4) მოღალვა-მოქანცვასა და გაციებას უნდა ერიდნენ, არ იბანონ, დედამიწაზედ არც დასხდნენ და არც წამოწვნენ.

5) პირი არ დაიბანონ და არ გამოივლონ ხოლმე აუდუღარის წყლით.

6) მუცელზედ შალის ნაჭრები შემოიხვიონ, ფეხები თბილად და მშრალად შეინახონ.

7) წყურვილი უნდა მოიკლან გაციებულ ნადუღარის წყლით, მაგრამ ზომიერად-კი უნდა სვან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხეული გახურებულია. შეიძლება სმა ჩაისა, ყავისა და ადუღებულ რძისა.

8) საჭმელად ყოველივე მოხარშულ-მომწვარი უნდა იხმარონ და ისიც კარგის სანოვაგისაგან მომზადებული.

9) უნდა ჩააგონონ მოსწავლეებს, რომ მოეშლებათ თუ არა სტომაქი, მაშინვე ექიმის შემწეობას მიჰმართონ.

ადგილობრივ რექტორებსა და ზედამხედველებს უნდა დაევალოთ: 1) თვალ-ყური ადევნონ სიკარგესა და რიგიანობას იმ სანოვაგისას, რომლისაგანაც საჭმელი მზადდება, და შეადგინონ ნუსხა სადილ-ვახშმის საჭმელებისა ექიმის რჩევის თანახმად და 2) ეცადნენ, რომ მოსწავლეებს არ შემოაკლდეთ ნადუღარი გაციებული წყალი და რომ ეს წყალი სუფთა და კარგად დაცმულ ჰურჭლებში ინახებოდეს.

შეიძლება ეს სასანიტარო-საჰიგიერო წესები თვალ-საჩინო ადგილზედ გამოჰკიდონ.

თუ სასულიერო სასწავლებელი ქალაქს მოშორებულია და მშვიდობიანად არის, დღესასწაულებში მოსწავლეები არ უნდა დაითხოვონ მშობლებთან, ან მხოლოდ ისინი დაითხოვონ, რომელთა მშობლებიც მოწმობას წარადგენენ, რომ იმათ არცა ჰყავთ და არც ჰყოლიათ ხოლერით ავადმყოფი. თუ ვინიცობაა მოსწავლეების ნათესავებთან ყოფნის დროს იმათს ოჯახში ხოლერით გახდა ვინმე ავად, მოსწავლე იქავე დასტოვონ რვა დღით და შემდეგაც, როდესაც იგი სასწავლებელში დაბრუნდება, განაცალკევონ და იმის ტანთსაცმელსა და თეთრეულს სადეზინფექციო წამლები ასხურონ.

ვინიცობაა მოსწავლე ხოლერით ავად გახდა, თუ სასწავლებლის საავადმყოფო საკმარისად არ არის მოშორებული საკლასო და მოსწავლეთა საცხოვრებელ სადგომებს, მშობლებს მიეწეროს, რომ ავადმყოფი მოსწავლე თავისთან წაიყვანონ ან ქალაქის ხოლერიანთა ფარდულში გაჰგზავნონ, ხოლო იმისი სადგომი და ტანისამოსი-კი მეცნიერების ყოველისავე წესის თანახმად სადეზინფექციო წამლით ასხურონ.

ავადმყოფი მოსამსახურენი, გამოაჩნდება თუ არა ნიშნება ხოლერით ავად გახდომისა—ფაღარათობა და პირ-ღებინება, სენის განვითარებას აღარ უნდა დაუცადონ და დაუყოვნებლივ გაჰგზავნონ ხოლერიანთა საავადმყოფოში, იმის სადგომსა და მთელს ავეჯეულობას-კი სადეზინფექციო წამლები ასხურონ იმ წესისამებრ, რომელიც აღნიშნულია „მმართებლობის მოამბეს“ მე-117 №-ში.

---

# რუსეთი

პეტერბურგში 18—19 აგვისტოს ავად გახდა 123, გარდ. 40, მორჩა 87; ქ. კრონშტადტში 17 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 3, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში 18 აგვისტოს ავად გახდა 50, გარდ. 8, მორჩა 13.

მოსკოვში 17 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 3, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3.

ასტრახანში 17 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 16; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 19, გარდ. 11, მორჩა 10.

ვლადიმერის გუბერნიაში 17 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდ. 6, მორჩა 3.

ვორონეჟში 17 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 143, გარდ. 184, მორჩა 47.

ვიატკაში 17 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 1, მორჩა 2.

ეკატერინოსლავში 17—18 აგვისტოს ავად გახდა 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 75, გარდ. 30, მორჩა 39.

ყაზანში 17 აგვისტოს ავად გახდა 20, გარდ. 8, მორჩა 5.

კოსტრომის გუბერნიაში 16 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდ. 6, მორჩა 4.

კურსკში 17 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 1, მორჩა 14; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 28, გარდ. 6, მორჩა 8.

ლიუბლინში 17 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდ. 6, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 18, გარდ. 9, მორჩა 6.

ნიჟნი-ნოვგოროდში 18 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 4, მორჩა 16; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 33, გარდ. 15, მორჩა 28.

ორენბურგში 17 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 11, მორჩა 13; მთელს გუბერნიაში 16 აგვისტოს ავად გახდა 41, გარდ. 20, მორჩა 34.

ორიოლის გუბერნიაში 15—16 აგვისტოს ავად გახდა 73, გარდ. 29.

პენზაში 17 აგვისტოს ავად გახდა 28, გარდ. 13, მორჩა 15; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 116, გარდ. 30, მორჩა 58.

პერმში 17 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 51, გარდ. 26.

პოლტავას გუბერნიაში 17 აგვისტოს ავად გახდა 90, გარდ. 6.

რიაზანში 17 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 9, მორჩა 5.

სამარაში 17 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 3, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 57, გარდ. 29, მორჩა 67.

სარატოვში 17 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 1, მორჩა 2, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 282, გარ. 191.

სიმბირსკში 17 აგვისტოს ავად გახდა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 63, გარდ. 34.

კერჩში და სოფელ ოპასნოიში 17 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 6, მორჩა 5; ბერდენის მაზრაში (ტავ. გუბ.) 14—18 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდ. 4.

ტამბოვში 17—18 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 120, გარდ. 72, მორჩა 40.

ტვერში 17 აგვისტოს ავად გახდა 2; ქ. უფაში ავად გახდა 5, გარდ. 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 38, გარდ. 21.

ხარკოვში 17 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიიში ავად გახდა 135, გარდ. 53.

ხერსონის გუბერნიაში 17—18 აგვისტოს ავად გახდა 27, გარდ. 12, მორჩა 26.

ჩერნიგოვის გუბერნიაში 12—18 აგვისტოს ავად გახდა 37, გარდ 14.

იაროსლავში 17 აგვისტოს ავად გახდა 20, გარდ. 8, მორჩა 5; რიბინსკში ავად გახდა 15, გარდ. 3, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდ. 3.

ყუბანის ოლქში 17 აგვისტოს ავად გახდა 954, გარდ. 453.

თერგის ოლქში 17 აგვისტოს ავად გახდა 495, გარდ. 216.

ომსკში 17 აგვისტოს ავად გახდა 55, გარდ. 32; აკმოლინსკის ოლქში ავად გახდა 14, გარდ. 7; სემიპალატინსკის ოლქში ავად გახდა 12, გარდ. 2.

ტობოლსკში 17 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 2.

ტომსკში 17 აგვისტოს ავად გახდა 27, გარდ. 19; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 128, გარ. 58.

ქ. ურალსკში 17 აგვისტოს ავად გახდა 22, გარდ. 10; მთელს ოლქში ავად გახდა 160, გარ. 78, მორჩა 65.

იმიერ-კასპიის მხარეს 13 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 8.

ტაშკენტში 14—15 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 8; სხვა და-სხვა მაზრაში იმავე დროს გარდ. 69.

---

# დეპეშა

24 აგვისტო.

**პეტერბურგი**. 22 და 23 აგვისტოს პეტერბურგში ავად გახდა 103, გარდაიცვალა 40, მორჩა 88.

**ტაშკენტი**. ხოლერა სრულიად მოისპო.

**ვენა**. კერძო გაზეთის ცნობიდგანა სჩანს, რომ ავსტრიის ტახტის სამემკვიდრეო ერცჰერცოგი ფრანცფერდინანდ ესტე ირთვება პრინცესა კლემენტინა ბელგიისაზედ.

25 აგვისტო.

**პეტერბურგი**. გუშინ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხოლერიანთა ფარდულები მოიარეს 1 და 2 მამაკაც ხოლერიანთა ფარდული ობუხოვსკის საავადმყოფოსი, რომლებშიაც 65-მდე ავადმყოფია, და მე-3 დედაკაც ხოლერიანთა ფარდული, სადაც 30-მდე ავადმყოფია. ისურვეს რა ავადმყოფებისათვის ჩქარი განკურნება, მათნი უდიდებულესობანი გამოემშვიდობნენ ჴ წაბრძანდნენ ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულს მუშათა საავადმყოფოში, 3 ხოლერიანთა ფარდული მოიარეს და 132 ავადმყოფი ჰნახეს; ერთს ფარდულში ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ჰნახეს და მოწყალებისა, რომელიც ხოლერიან ავადმყოფებს უვლიდა და ამით გამხდარიყო ავად.

ხელმწიფე იმპერატრიცა, გულით მოხარულია რა საქველ-მოქმედო მოღვაწეობას მის უავგუსტოესს მფარველობასა ქვეშემყოფ ხარკოვის საქველმოქმედო საზოგადოებისას, უმაღლესად ჰბრძანა, ჩემი გულწრფელი მადლობა გარდაეცით ხარკოვის გუბერნატორს, ვითარცა თავმჯდომარეს ამ საზოგადოებისას, და საზოგადოების წევრებს, რომელნიც თავისის შრომითა და შეწირულებანით ხელს უმართავს გაჭირვებულ და მაშვრალ მკვიდრთა ხვედრის შემსუბუქებას და სხვა-და-სხვა ღონისძიებასა ჰხმარობენ სენის გავრცელების წინააღმდეგ.

სამხედრო უწყებაში ნაბრძანებია, რომ ჩაი ეძლიოთ ჯარის-კაცებს ყველა იმ ადგილში, სადაც აზიურ ხოლერით ავად გახდომის შემთხვევა იყო.

ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი იზმაილოვის ჯარისა კოსაჩი დანიშნულ იქმნა პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორად.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. 86 წევრმა სარკინის-გზო კონგრესისამ და 13 ქალმა ისაუზმეს გუბერნატორთან, ქალაქი და იარმუკა დაათვალიერეს და ბევრი ივაჭრეს. მოროზოვმა სადილი გაჰმართა 200 კაცისათვის უმთავრესს სახლის გერბის დარბაზში.

**ვენა**. დღეს დაიწყო მეორე საერთა შორისო დერმატოლოგიური კონგრესი. პრეზიდენტად ამორჩეულია პროფესორი კაპოში; ვიცე-პრეზიდენტთა შორის იმყოფება კიევის უნივერსიტეტის პროფესორი სტუკოვენკოვიც.

პარიჟი. პრეზიდენტი კარნო დღეს მოვიდა. იმათ შორის, რომელნიც პრეზიდენტს რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ, ბარონ მორენჰეიმიც იყო. რუსულ ტანისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი მისალმა კარნოს, რომელმაც ყმაწვილი დაჰკოცნა და სთქვა: „ვკოცნი რუსეთსაო“. პრეზიდენტთან ერთად იყო ჰერცოგი ლეიხტენბერგელი, ხალხმა ჰერცოგი იცნო და დაიწყეს ძახილი: „გაუმარჯოს რუსეთს, გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს პრინცს, კარნოსა და რესპუბლიკას!“ მინისტრები რიბო და ფრეისინე გარსით იყვნენ. გერის ტახტზედ იყო წამოწოლილი: ბაასმა ნახევარს საათს გასტანა და უცხონი ამ ბაასს არ დასწრებიან. გერის თავს უკვდა ჰქონობს, კიდევ ერთი თთვეს ამარებს აქ დარჩენას და შემდეგ კანნში გაემგზავრება. მინისტრს განზრახვა აქვს დეკემბერში თავისს თანამდებობას დაუბრუნდეს.

მარსელის სანიტარო კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ ნება აღარ მისცეს აქ ჩამომდობისა რუსეთიდგან გამოხიზნულ ებრაელებს.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მიცემ. | ყიდვ. | გარიგ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7,88 |
| ტამოჯის გუმარები | — ,, | — ,, | 157,63 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . | 1,08 | — | — |
| 5% ბილეთები შინაგანის სესხის მომგებიანი 1-ლი | — | — | 236 1/4 |
| —მეორისა | — | — | 221 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგ. ფურცელი | — | — | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელები ტფილისის ბანკისა: 6% | | | |
| 5% | | | |
| ქუთაისის ბანკისა 6% | | | |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | | | |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმ მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის . . . 7 ს. 30 წ. დღ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთს და ყველა ნავთსადგურში. ოთხშაბათობით, სადამოს 7 საათზე, საზღვარ გარეთ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: სადამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერმსა და ნოვოროსისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.
საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დილით.
სახალხო და საქონლისა კვირაობით, სადამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გათენისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით დილის 8 საათზე
საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.
სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.
სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.
საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზრდოდ.

**ნიხრი**

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „
„ „ „ 2 „ „
„ „ „ 3 „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „
მე-3 „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყავოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი

31 აგვისტოს ამა 1892 წ. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დღეთა მოსაწერის კუთვნილ ადგილის იჯარით გასაცემად სახელდობრ „ჭერჩხის“ რომელიც მდებარეობს სოფ. ჭიათურაში. ვაჭრობა დაიწყება შუადღედ ადგილზედ რიცხვს შუა დღის თორმეტ საათზედ, დაწვრილებითი პირობათა შეტყობა შეიძლება ბლაღოჩინის კანცელარიაში, ყოველ დღე. (3—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნი იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმით და თავისუფლად ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—დის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასაზღვევლი შემთხვევისათვის.

საწყობი იმყოფება Otto Asperger Leipzig.

(36—18)

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები მან. კაპ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანისა . . . . | | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოხეუბარისისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერ ქაღალდზედ და მშვენიერ ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . | | 20 |
| მარიამა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . | | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . . | | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . | | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . | | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა . . . | | 15 |
| ცდ I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე . . | | 50 |
| სხვერლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | | 30 |
| აჩრდილები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . | | 20 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლის ნაამბობი, პოემა მისივე . . . | | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | | 50 |
| სამშობლო ამბავი მისივე . | | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა . . | | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . | | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. ვეზნის მიერ ფასი . | | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფიელ ერისთავისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით . . . . | | 25 |
| სამი ცელქი, საბავშვო სურათებიანი წიგნი ზ. მღვიმელისა . . . . | | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . | | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . | | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . | | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . | | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . | | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდგან მისივე. . | | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა . . . | | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . | | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა . | | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | | 50 |



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее-ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალ. ალ. თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ჩემი ფაბრიკის ფასით ვაძლევ საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხელოვნურის და ფოტოგრაფების წასასმელ ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასაკს, მასას, ბრონზს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილ კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემ მიერ გაყიდული კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ საწლამდე ზღოვას.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ზნით გამოგზავნით, დანარჩენ ფასს გარდაიხდიან დანიშნულ ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—29)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაუჯდებათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; სხვა ყოველ ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვიის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველ გვერდზე—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენტებისა, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლდება, ან შესწორდება. არა-დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვიის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია აღარ მოსთხოვს.

არა-ვითარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირადათ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და სადამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლში № 21.